წელიწადი 1-ლი ფასი 10 კ. ტელეფონი № 76 შაბათი ივლისის 15 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი: ... განაცხადების ფასი: ...

№ 79 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 79

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 13, ნაჩვენები იქნება

მსხვერპლი იმის

მხატვრული დრამა 5 ნაწ. მონაწ. რ. ვ. გზოვსკის, ნ. ვ. ჰანოვა და ვ. გ. გაიდაროვა.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 13 ნაჩვენები იქნება საუცხოო სურათი

ოჯ რა კარგი იქნებოდა გამოკეთძვა ხმათ

მხატვრული დრამა 4 ნაწ. მონაწ. სახელმწიფო თეატრის მსახ.

ექიმები:

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე ადებს მახარვხა, ბავშვთა და ნერვების სნეულებათა ავთმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 სათ. საღამოს 7—9 ს. ჰეშქინის ქუჩა, ვატუშინის სახლი.

დოკტორი მედიცინის პრივატ დოცენტი **ვარლამ პაპელ ძე მოსხეიშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავადმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ი. ჩარკეზი ქალაქის სანადიმყოფის ორდინატორი. იღებს ქანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.

(სასჩოში შესწრა „606“ და „914“) დილით 12½—2 სათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი. ტელეფონი 135 №.

კავკასიის ერთა ურილოგის კითხვა

ჩვენს თავზე ბევრმა ვრისხანე გრგვინვამ გადაიარა. ისტორიამ ყოფნა-არყოფნის კითხვა დაგვიყენა. გაყრანებულმა სამშობლომ, დაქსელულმა მამულმა პატრონობა-აღდგენა მოგვთხოვა. გადმატეხი ეპოქა ყველა ხალხს და ერს განსაკუთრებული ნიშის გამოჩენის სთხოვს. ჩვენ კი დღემდის ვერავის ვაჩვენეთ ქართველი ერის ნამდვილი ძალა, ნამდვილი სურვილი.

ოთხი თვეა ვწერთ და ველაპარაკობთ ქართველ ხალხის პოლიტიკურ უფლებათა დასამკვიდრებლათ ეროვნულ ძალთა გაერთიანების მიუკილებლობაზე. მაგრამ ქართულ პოლიტიკურ პარტიათ ვერ უთხრეს ერთმანეთს საქართველოს ინტერესებისათვის სათანამშრომლოთ შეკაკვშირებული სიტყვა.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს სამოქმედოთ დაწერილებითი პროგრამა არ შეუმუშავებიათ, მხები გაყურალებართ და ურთიერთს ისე შევეყრებთ, როგორც ფერიყელი სირიელს. გარკვეული სამუშაო გეგმა არა გვაქვს მომენტისათვის.

საქართველოს შინაურ თავისუფლებაზე ვლაღდებთ, მაგრამ ამ თავისუფლებამდის მისაღწევ გზა კი არ ვგვირჩევია.

სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ „მოშენტს ალღო აუღო“, როგორც ამას ერთი მათი გაზეთი სწერს, და კავკასიის ერთა ყრილობის მოწვევის თაოსნობა იკისრა.

ყრილობას ამ დროისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიხება კავკასიის ერების ეროვნულ-პოლიტიკურ მისწრაფებათა ურთიერთშორის მორიგებას, საერთო სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც ასე საჭიროა ამ დროში.

მაგრამ თავისთავად იბადება კითხვა: არის კი ამჟამად ნიადაგი იმდენად მომზადებული, რომ ამ კრების მუშაობა მართლა ნაყოფიერი გამოდგეს? რა უნდა უთხრათ ჩვენ, ქართველებმა, კავკასიის ერთა წარმომადგენლების კრებულს, როდესაც ჯერ ჩვენს საკუთარ სამშობლოში ვერ შეეთანხმებულვართ საერთო ეროვნულ პროგრამის გარშემო.

ცხადია, ამ პირობებში ხსენებულ კრებაზე ქართველ ხალხის სახელით ვერავინ გამოვა და საეალდებულო დადგენილებას ვერ მიიღებს. ჩვენთვის დამცირებას და თავის თავის უარყოფას ნიშნავს საერთო ყრილობაზე დაცალკევებულოთ მისვლა და ჩვენი პარტიობისა და ფრაკციობის გარე გატანა.

საქართველოს ხსნა ცალკე პარტიებს არ შეუძლია. ყოველი ნაბიჯი მთელი ქართველი ხალხის ნების ყოფის მიხედვით უნდა იქმნას გადადგმული.

ის კი გულისხმობს ყველა პარტიის მორიგებას და თანხმობრივ მოქმედებას. გარეშე ასეთი თანხმობრივი მოქმედებისა გადადგმული ნაბიჯები მიზანს ვერ მიაღწევენ და შეიძლება ერთა მორიგების საქმეს კიდევაც ავნონ.

ღრუბლები ჰქრებიან და ფაქტები რჩებიან.

საქმე ის კი არ არის, თუ ვინ იცავრებს ყრილობის მოწვევის თაოსნობას, არამედ ის, რომ განზრახული საქმე მკვიდრ საფუძველს ეშეარებოდეს და კეთილ შედეგებს უზრუნველყოფდეს.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ჯერ ურთიერთ შორის მოლაპარაკება — შეთანხმება მართებთ. მხოლოთ ასეთ შეთხმებისა და საჭიროო ეროვნულ ორგანოების დაარსების შემდეგ სასურველი და შესაძლო იქნება სხვა ერებთან შეთანხმების შესახებ ბჟობის გაძახვისა.

ირ—დი

საქართველოს საკითხები.

(წერილი სტოკჰოლმიდან).

ჩვენ სახლვარგარეთ მცხოვრებ ქართველთ არ გვესმის სრულიად მოქმედება ქართველი საზოგადოებისა ამ დიდი რევოლუციის დროს: რუსეთის რევოლუცია მხოლო რუსის ერს კი არ მოუხდენია, არამედ ყველა ერებმა რომელნიც სცხოვრებენ რუსეთის სახელმწიფოში და მაშასადამე ყოველ ერს შეუძლია ეროვ. უფლებანი მოითხოვონ. ასე მოქმედებენ ყველა ერნი —ფინები, უკრაინელები და სხვანი, ხოლო ქართველები კი ეშორჩილებიან უკანონო ბრძანებას და იმასაც კი ვერ ბედავენ, რომ ეს ბრძანებანი ეწინააღმდეგებიან ეროვნულ ინტერესებს მიერ გამოცემულ თავისუფლების მანიფესტსა.

ის მუხლი მანიფესტისა, რომელიც აცხადებდა ეროვნულ შეზღუდვათა მოსპობას, ნიშნავს ქართველთათვის. მხოლოდ ერთს: ჩვენს უფლებათა აღდგენას: 1) აღდგენას საქართველოს ავტონომიისას რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, როგორც ეს განსაზღვრული იყო 1783 წლის ხელშეკრულებაში: 2) უფლებას ქართველ დამფუძნებელ კრების მოწვევისას, რომელმაც უნდა შეიმეშაოს ქართული კონსტიტუცია, განსაზღვროს ფორმა საქართველოში შემოსაღებ მმართველობისა და აგრეთვე გადასინჯოს „ხელშეკრულება 1783 წლისა და შეჰკრას ახალი ტრაქტატი რუსეთთან, შესაფერ ახალ პირობებისა ან და საზოგადოდ განსაზღვროს დამოკიდებულება საქართველოსა რუსეთთან. 3) უფლებას საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრისას—ვერც ქარჩელმა ერმა შეიგნო ეს თვისი უფლება და მათ აღდგენის მაგიერ ემორჩილება ძველის წესის შესაფერ განკარგულებათა და ვერც დროებითი მთავრობა მოქმედობს კანონიერად როდესაც იგი განაცხადებს ძველს უსამართლობასა და საქართველოს ამ უფლებათ არ სცნობს!

ის მუხლი მანიფესტისა, რომელიც აცხადებდა სარწმუნოებრივ შეზღუდვათა მოსპობას, ნიშნავს ქართველთათვის: 1) დაუყოვნებლივ მოსპობას „საქართველოს ექსარხოსის“ თანამდებობისას და ექსარხოსის გასვლას თბილისიდან, 2) დაუყოვნებლივ არჩევას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და სინოდალური ძალ—ხოლო ქართველმა ერმა არ ამოირჩია კათალიკოზი, არ ვიცით რა მიზეზით, ატყობინებს აქეს ავტოკეფალიის აღდგენის სურვილისას რუსეთის დროებით მთავრობას, რომელსაც ეს საკითხი სრულიად არ ეხება საეკლესიო სამართლის ძალით და დროებითი მთავრობაც რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდის ვდებს ამ საკითხს, თითქოს აგრეთვე ეს კრება შეძლებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტას, ან მას ეხებოდეს იგი!

ჩვენ ძველ ხარტიასა ძალით საქართველოს ჯარი საქართველოს საზღვრებში უნდა მდგარიყო და დაეცვა საქართველოს საზღვრები ნამდვილ მტერთაგან. დღეს კი 300,000 ქართველი ჯარისკაცი, გაწვეული რუსის ჯარში, ებრძვის რუსის მტერს, და მის მაგიერ, რომ დასაცველის ფრონტიდან ჩვენი ჯარისკაცები მყის გადაყვანან საქართველოში, შეიდგინან ქართული ჯარი (ან მილიცია) და დაეყენებიან იგი იმ ფრონტზედ, სადაცაც საქართველოს მოელის შემოსევა, არა თუ ქართველებს ვერძინელებისა და ავსტრიელების წინააღმდეგ საბრძოლველად აფიცებენ, არამედ იმ მცირე ქართულ მილიციასაც კი სპობენ საქართველოში, რომელიც ძველმა მთავრობამაც კი შეიწყნარა, და ამის მიზეზად ასახელებენ არ მის ერთფეროვნებას, საჭიროებას თითქოს ჭარი. მილ. ამ ერთფეროვნებას ხელს უშლიდეს! უკრაინელებს ნებას აძლევენ საკუთარი ბრიგადები იყოლიონ, ჩვენ კი კანონისა და სამართლის წინააღმდეგ გვი შლიან საკუთარ მილიციის შედგენას.

ყოველივე ეს ცუდის მომასწავებელია, —იმისი, რომ ახალი მთავრობა ძველის გზით მიდის: არც საკუთარი დამფუძნებელი კრება, არც ავტოკეფალია, არც მილიცია, ავტონომიაზედ ხომ სულ არაფერს ვამბობ. ეს ავტონომიისა და საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრის დროს კი უეჭველად მარტო ორიოდე მაზრა უნდა მოგვიგდონ, თუ საზოგადოდ იქნება ასეთი განსაზღვრა!—აი რასა ვხედავთ ამ რევოლუციის დროს.

ყოველივე ამას ვიღებთ მხედველობაში საზღვარგარეთ მცხოვრებნი ქართველნი და ვსცდილობთ ავიმაღლოთ ხმა ჩვენ უფლებათა დასაცველად, ხოლო ქართველნი საქართველოშივე უნდა ეცადნენ, ჩვენის ფიქრით, რაც შეიძლება ჯანფიოდ განსაზღვრონ თავიანთი უფლებანი და დაიცვან იგინი, სანამ ძროა, თორემ რევოლუციონერულ ცეცხლის ჩანელებისას გვიან-და იქნება ყოველისფერი.

აქაური ქართველთა მონდობილობით

(საქართ.)

მიხ. წერეთელი.

დღეს:

წერილები:

მ. წერეთელი — საქართველოს საკითხები.

არ—და კავკასიის ერთა ყრილობის კითხვა

ჯ. სასურსათო კითხვა.

გოლი. სოფელი დღეს.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ვარლამ ჩერქეზიშვილის მეორე ლექცია. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

სასურსათო კითხვა.

დღეს არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას. რომ პურის კითხვამ ფრიად საშიში ადგილი დაიჭირა რუსეთის ბედის გადაწყვეტაში. შეცდომა იქნება, რომ პური რევოლუციის უმთავრეს მიზეზათ ვთქვათ, მაგრამ არც ის იქნება მართალი, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ და მხოლოდ ხალხის პოლიტიკური სიმწიფის შედეგათ გამოვცხადოთ. ის მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელი მართვა-გამგეობის სისტემასთან და ომთან. ჩვენ არ შეუდგებით იმის გამოკვლევას, რამდენად სამართლიანი და აუცილებელი იყო დღევანდელი უმაგალითო ომი კაცობრიობისათვის და კერძოთ რუსეთისათვის. ამას ისტორიკოსი გამოიკვლევს; ხოლო არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ მის მიერ შექმნილ მდგომარეობას. რუსეთში ომს აღფრთოვანებით შეხვდენ: ღარიბი და მდიდარი, ახალგაზდა და მოხუცი, ქალი და კაცი,-ყველა გაიძახოდა მომავლ გამარჯვებაზე, ყველა ცხათ იყო იძისათვის ხელი შეეწყო. რუსის ეს სწრაფი თავის თავდაცვის ძალიერება. სულ სხვა იყო განაპირა ქვეყნებში: აქ ომს ძლიერ ცოტა მომხრე ყავდა, მაგრამ ტლანქი ძალის შიშმა ყველა დააფიქრა და თავის რჩენის საწინააღმდეგო ხმაური გადადგმევინა. მთავრობა პირველი დღესვე დარწმუნდა მტრის სიძლიერეში და საჭიროო სცნო მთელ ძალღონის ძაბვება, მაგრამ პირმოთნეობასა და ინტრიგას ნაჭევი, ვიწრო ეგოისტური გრძნობებით გამსჭვალული კარის კაცნი პრაქტიკულად უძლურნი აღმოჩნდენ. ცხოვრება მათ ეულოკმას ანგარიშს არ უწევდა და ჩქარი ნაბიჯით წინ მიდიოდა. ერთს დამარცხებას მეორე მოყვა, მეორეს მესამე; შესწყდა რკინის გზებას ნორმალური მუშაობა, სახელმწიფოს მაჯის ცემა შეჩერდა. ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ ის მზათ იყო ყველაფერს შერიგებოდა, მზათ იყო თავის საუკეთესო შვილები სამშობლოს კიდეც სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე მიეტანა, მზათ იყო დიდხანს მშიერ-ტიტელი ეცლო; მაგრამ, როდესაც მან თვალი მოკრა შიმშილის აჩრდილს, მდგომარეობა შეიცვალა. საზოგადოების შეგნებულმა წრეებმა საეკლესიო ისარგებლეს ამ შემთხვევით და ერთი დაკრით დაამხვეს რუსეთის დახვეწილი თვითმპყრობელობა. დროებითმა მთავრობამ, რომელსაც კარგათ ესმოდა მოშენტის მნიშვნელობა, უმთავრესი ყურადღება სასურსათო კითხვის მიაქცია. 30 მარტს მან გამოქვეყნა დროებითი დებულება სასურსათო კითხვის შესახებ, რომლის ძალით ეს უკანასკნელი ხალხის ხელში გადავიდა. გამოცხადდა მონოპოლია პირველ მოთხოვნილების სასურსათო საგნებზე, დაარსდა დემოკრატიული პრინციპებზე აგებული სასურსათო კომიტეტები. ამ კომიტეტების მოვალეობა დიდი: მათ უნდა უზრუნველყონ მცხოვრებლები სურსათით და პირველ მოთხოვნილების საგნებით მაშინ, როდესაც მუშა ხელი ძლიერ შემცირდა, საათობით იზრდება შრომის ფასი და ბრძოლობს ის ისპრიც მრავალნაირი წარმოება. რასაკვირველია, ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ, როდესაც მსჯელობას ვიქონიებთ სასურსათო კომიტეტებზე. ჯ.

რევოლუციის ამბები.

ზ. ლ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი

პეტროგრადის ფლოტში.

ჰელსინგფორსი. ივლისის 11. გეშეტმა „სლავამ და რუსპუბლიკამ“ დააღწიენს, რომ ბალტიის ფლოტის ცენტრალური კომიტეტი დაუმორჩილოს კერენსკის ბრძანებას „პოლიტიკურია ზეზეხის“ ფლოტკომიტეტის დაშლის შესახებ. ფლოტის უფროსს ადმირალ რაზვოდოვს კარგად შეხვდნენ.

ქ ე ი მ ი ს შ რ ო მ ი ს შ ე გ ა რ ა.

ოდესა. ივლისის 11. ექიმთა და სანიტარია საბჭომ დაადგინა სამხედრო ექიმთა სიმცირის გამო საქიმო შრომის გაგარა იქნეს შემოღებული.

უ შ უ შ ე გ რ ა ს ა ბ ა ნ ა გ ე ბ ა.

ჰელსინგფორსი. ივლისის 12. დილით სახლობა სახლში 2000 უმუშევარმა შეიყარა თავი. უმუშევრობის წინააღმდეგ მისაღებ ზომებზე ბჭობდენ. დაადგინეს თხოვნით მიმართონ სენატს. შემოიღოს საზოგადო სამუშაოები. პეტროგრადის სტაბის მუშათა კავშირისა მდივანმა ბოშენსკიმ ფინელ ამხანაგებს სთხოვა, მტკიცედ დაიცვან თავისი მოთხოვნილებანი, ვიდრე კაპიტალისტები არ დამორჩილდებიან. ამასთანავე ბოშენსკიმ ფინელ ამხანაგებს 25000 მანეთი გადასცა და პეტროგრადის სტაბის მოუშავეთა კავშირის სახელით მომაელშიაც დაპირდა დახმარებას. ფინეთის სტაბის მომუშავეთა გაფცვა ეს ერთი თვეა, რაც გრძელდება.

დროებითი მთავრობის დადგენილებანი.

პეტროგრადი. ივლისის 12. დაკანონებითა კრებულის მე-597 მუხლის, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. 1917 წლის 25 აპრილის 27 დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულ კანონის განსამარტებლათ, დრ. მთავრ. ბამ დაადგინა: დროებითი ზომის სახით სამხედრო მინისტრსა და შინაგან საქმეთა გაგზეს უფლება მიეცეთ დახურონ ის დროული გამოცემანი, რომელნიც მოუწოდებენ არ შეასრულონ სამხედრო უფროსების განკარგულებანი, და არ მოიხდინონ თავისი სამხედრო მოვალეობა და შეიკავენ ძალადობისა და მოქალაქეთრივობისათვის წასაკვეზებელ ქადაგებას. რედაქტორები კი სამართალში იქნებიან მიცემულნი დაკანონების წესით.

ოფიცერთა ახალი მინისტრი მიწის ყოფა-გვედის წინააღმდეგ.

პეტროგრადი. ივლისის 12. მიწის სახედა გაყოფის აღკვიათის გამო იუსტიციის ახალმა მინისტრმა ეფრემოვმა ტურნალისტთა კომიტეტის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადა: მე ერთობ წინააღმდეგი ვარ ჩერნოვის კანონ-პროექტისა მიწის სყიდვა-გაყიდვის სრულიად აღკრძალვის შესახებ, ვგონებ, რომ ეს კითხვა, როგორც მიწიდ მფლობელობის რეფორმის ერთი საფუძველთაგანი, მხოლოდ დამფუძნებელ კრებამ უნდა გადაჭრას, ცალკე მისი გადაწყვეტა ჯერ ყოველად შეუწყნარებლად მიმაჩნია. ამ შემთხვევაში მე ვმოქმედებ, როგორც პარტიულ

ამხანაგებთან ისე ჩემდამი რწმუნებულ დაწესებულების წევრებთან სრულის თანხმობითაო. ბოლოს ეფრემოვმა განაცხადა რომ იგი მოკლე ხანში გაბედულად გაიღაშქრებს მიწად მოქმედების მინისტრის წინააღმდეგ მიწის საკითხი დედის დაყოვნებლივ აკრძალვის შესახებ.

მოსავალი

პეტროგრადი. ივლისის 12. სასურსათო სამინისტროს ცნობების მიხედვით 29 გუბერნიაში და ოლქში კარგი მოსავალია, 18—საშუალო, ხოლო დანარჩენებში —ცუდი.

მიწის კითხვა ისწრაფვის დამფუძნ. კრებამ უნდა გადაწყვიტოს

პეტროგრადი. ივლისის 12. მიწათმოქმედების მინისტრმა მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტს დასამტკიცებლათ წარუდგინა სავუმბერნიო სამხარო და სასოფლო საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის, მის მიერ შემუშავებული, გეგმა, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ მიწის კითხვა საბოლოოდ მხოლოდ დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვიტოს, ხოლო კომიტეტებში კი ამ კითხვის წინასწარ დამუშავებას და გამზადებას უნდა ეხმარებოდნენ.

გადასხვა სასჯელგაზე.

პეტროგრადი. ივლისის 12. ნაანდერძევ ქონებაზე გადასახადის დაწესების პროექტი ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეადგინა, პროექტის მიხედვით გადასახადისაგან მხოლოდ ამ ომში მოკლულთა ობლები იქნებიან განთავისუფლებულნი და ისიც მხოლოდ, თუ ნაანდერძევი ქონების ღირებულება 100,000 მანეთს არ აღემატება. გადასახადი დაწესებული იქნება ქონების რაოდენობის მიხედვით პროგრესიულის წესით, ღირებულების 3—50 პროცენტამდე.

მოსავლის გადარჩენა.

პეტროგრადი. ივლისის 12. სამხრეთ დასავლეთის ასპარეზზე მომქმედ ჯარის ზურგით ჩირნობილის გადასარჩენად სასწრაფო ზომების მიღების საკითხი სჩქარით იქნა აღძრული სასურსათო სამინისტროში.

კრონშტატის კომენდანტი.

პეტროგრადი ივლისის 12. პირველი რანგის კაპიტანი ნიკოლოზ ტირკოვი კრონშტატის ციხის კომენდანტათ დაინიშნა.

პეტროგრადის შეტახოგე ჯარის წარმომადგენელთა კრება.

პეტროგრადი. ივლისის 12. გუშინ პეტროგრადის მეცხრეთე ჯარის 42 სამედრო ნაწილის და 3 ბრძოლის ველიდან მოსული ჯარის წარმომადგენლების შეერთებულმა კრებამ შემდეგი რეზოლუცია გამოარტვა: რევოლუციის გადასარჩენად საჭიროა, რომ ყველა ემორჩილებოდეს შეუზღუდველ უფლებებით აღჭურველმთავრობას. ასეთია დღეს, რევოლუციის დამცველი მთავრობა. რეზოლუცია სალაშს უძღვნის მთავრობას ანარქიას და კონტრრევოლუციას თან გაბედულ ბრძოლის გამო და სთხოვს რევოლუციის ზიანის მიმყენებელნი მარცხნივაც და მარჯვნივაც დაუნდობლად სდევნოს. რევოლუციურ დემოკრატიის ორგანოების რეზოლუცია სრულ ნდობას უცხადებს და აღნიშნავს, რომ ბოლშევიკთა ფრაქცია მათ ღირსებას უკარგავს. რეზოლუცია თავდება განცხადებით პეტროგრადის მეცხოვნე ჯარის სახელით, რომ ყოველმა ჯარისკაცმა, რომელსაც სამშობლო უყვარს მოქალაქეობრივობა უნდა დაიცვას.

„შეგრე სექტიას“ სხდომა.

პეტროგრადი. ივლისის 12. თავრიდის სასახლეში ჯარისკაცთა მცირე სექციისა და სამხედრო კომიტეტების სხდომა მოხდა. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელმა ლიბერმა მეიდრო ორგანიზაციები მოაწყონ ყველგან, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება საშიში მდგომარეობიდან გამოსვლა. აღმ. კომიტეტის წარმომადგენელმა ვოტინსკიმ აღნიშნა, რომ ბევრი ორგანიზაცია პროპაგანდას ეწევა აღმ. კომიტეტისა და დრ. მთავრობის წინააღმდეგ. ღიმღამობით გარნიზონის წარმომადგენლების თანადასწრებით სიიდუმლო სხდომებს აწყობენ, რომლებზედაც წერეთელისა, კერენსკისა და ჩხეიძის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწევიან, ვოტინსკიმ მოუწოდა წარმომადგენლებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი აღმ. კომიტეტის გარშემო და 2 რეზოლუცია წამოაყენა: 1 რეზოლუცია აღნიშნავს ივლისის 3—4 სამწუხარო და ბრძოლის ველზე მომხდარ უარეს ამბებს, რომლებიც ბოლშევიკების და სხვა უპასუხისმგებლო წრეების აგიტაციის გარდა გამოწვეული აგრეთვე ჯარის სიბნელისა და უორგანიზაციობის გამო. შავრაზმელი აგიტაციას შეეძლო ჯარში და რევოლუციას დალუპვის უქადის. მომავალში ივლისის 3—4-ის მაგვარ ამბების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ძალთა დარაზმვა. შეერთებული სხდომა მოუწოდებს ჯარს უსიტყვოდ ასრულონ დრ. მთავრობის ყველა განკარგულებანი და ნდობით აღუვსონ საბჭოების აღმ. კომიტეტი. მე-2 რეზოლუცია აღნიშნავს რომ ივლისის 3—4-ის ამბების ხელს უწყობდა ის რომ ჯარის ნაწილებს ურთიერთობა საბჭოს გარეშე ჰქონდათ ერთმანეთთან, ამის გამო უნდა აიკრძალოს ჯარისკაცთა ყოველი სხდომა, გარდა ცენტრალ კომიტეტის მიერ გამართულისა. ბრძოლის ველზე გაიგზავნოს 70 დელეგატი პროპაგანდისათვის. საარმიო კომისიებები ცენტრალ კომიტეტში მხოლოდ სამხედრო მინისტრის თანხმობით უნდა დანიშნოს. მათი გადაყენება კი სავსებით სამხედრო მინისტრს შეეხება, ცენტრალურ კომიტეტის თანხმობით.

დროებითი სამხედრო კომიტეტი.

პეტროგრადი. ივლისის 12. ცენტრალ კომიტეტის ბიუროს სხდომა მოხდა, რომელზედაც დროებითი სამხედრო კომიტეტი იქნა დაარსებული, რომლის დანიშნულებაც არის: ცენტრალ კომიტეტის დადგენილებების შესრულება სამხედრო საკითხების შესახებ, უკანასკნელ ამბების გამო საჩქარო ზომების მიღება და თავრიდის სასახლის დაცვა. დროებითი სამხედრო კომიტეტში 30 კაცი შედის წევრად.

დროებითი მთავრობის დადგენილებანი.

პეტროგრადი. ივლისის 12. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, სულ მოკლე ხანში მოსკოვში მოიწვიოს რუსეთის ავტონომიტეტულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელსაც დრ. მთავრობა რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობასა და მახლობელ მიზნებს გააცნობს.

მიწის კითხვა.

პეტროგრადი. ივლისის 12. მიწის უდაბნაგაყიდვის, ან დაგირავების ხელშეკრულებანი, 1917 წლის ივლისის 13 დადებულნი, და მათი შემკვრელნი ვირაოვითარ უპირატესობით ვერ ისარგებლებენ მიწაის საკითხის გადაწყვეტის დროს და დაფუძნებელ კრების მომქმედების თავისუფლებას ვერ შეუზღუდავენ. მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ რა პირთა შორის, ნებით თუ ძალდატანებით არის შეკრული ესენი; აგრეთვე მნიშვნელობა არა აქვს იმას სახნავი მიწა, თუ ტყე.

შენიშვნები.

ბ. დ. ს.

დეპეშები.

ფინეთი და ცენტრალი კომიტეტი.

პეტროგრადი. ივლისის 12. სახალხო არმიის სოციალისტურ კავშირის პრეზიდიუმმა შემდეგი განკარგულება გამოსცა: რევოლუციის მრისხანე ტალი დადგა. სამშობლოს საფრთხე მოელის. სახალხო არმიის სოციალისტთა საბჭოს დიდი პასუხის მგებლობა დაეწვა თავს. იგი კვლავ დარაჯად უდგას რევოლუციის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას და არც არას დასთმობს. იგი მარჯვნივ დან და მარცხნიდან სდარაჯობს საბჭოების ცენტრალ კომიტეტს, რომელიც მოითხოვს რევოლუციისა და სამშობლოს დასაცავად ასრულებულ იქნას დროებითი მთავრობის ყველა ბრძანებანი. საბჭოების ცენტრალ კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ივლისის 11 იქ მყოფმა 2 ფინელ ეზდეკმა კრებას აუწყა სემის კანონ პროექტის ტისსამ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ. თითქოს ავსტრო ჰუნგრეთის არა ჰქონდეს გადაწყვეტილი ომის მიერ გამოწვეული გაჭირვებული პირობების ატანა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და ბრძოლა ჩვენი ძირითად ინტერესების დამაკმაყოფილებელ საბატონო ზავის მოპოვებამდე. გერმანეთის რეიხსტაგში გამოთქმულ აზრებს ამის შესახებ სავსებით ეთანხმება ავსტრო-ჰუნგრეთის პოლიტიკა. პრემიერმა ესტერაზიმ ტისის უპასუხა: ჩვენ თავდაცვით ომს ვაწარმოებთ და დაპყრობისაკენ ჩვენ არ უნდა მივისწრაფოდეთო. მოკავშირეთა უკანასკნელი გამარჯვებანი იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ შუდამ ზავს ვესწრაფვით და მტკიცედ ვაწარმოებთ თავდაცვით ომსაო. დაპყრობითი მისწრაფებით გატაცებულ მოწინააღმდეგეს ედება ომის გაგრძელების ბრალი. ამის შემდეგ პალატის სხდომები საზაფხულოთ შესწყდა. თავმჯდომარეს უფლება მიენიჭა საჭიროების და მიხედვით პალატა მოიწვიოს.

სამხედრო კრედიტი.

ლონდონი. ივლისის 12 თემთა პალატამ სამხედრო კრედიტი მიიღო.

დასახიჩრებულ მეომართა შენახვაზე ზრუნვა.

პარიზი. ივლისის 12 პალატამ ერთხმად (479) მიიღო სენატისაგან მოწოდებული კანონი ომში მოკლულთა და დასახიჩრებულთა შვილების სახელმწიფოს ზენობრივ და ქონებრივ მზრუნველობის ქვეშ აყვანის შესახებ.

ივლისის 13-ის კონფერენციას რუსეთის მხრივ დაესწრებიან. სევასტუპოლო და გენ. ხანკოვი.

ეროვნული კითხვა

ბ. დ. ს.

დეპეშები.

ფინეთი და ცენტრალი კომიტეტი.

პეტროგრადი. ივლისის 12. სახალხო არმიის სოციალისტურ კავშირის პრეზიდიუმმა შემდეგი განკარგულება გამოსცა: რევოლუციის მრისხანე ტალი დადგა. სამშობლოს საფრთხე მოელის. სახალხო არმიის სოციალისტთა საბჭოს დიდი პასუხის მგებლობა დაეწვა თავს. იგი კვლავ დარაჯად უდგას რევოლუციის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას და არც არას დასთმობს. იგი მარჯვნივ დან და მარცხნიდან სდარაჯობს საბჭოების ცენტრალ კომიტეტს, რომელიც მოითხოვს რევოლუციისა და სამშობლოს დასაცავად ასრულებულ იქნას დროებითი მთავრობის ყველა ბრძანებანი. საბჭოების ცენტრალ კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ივლისის 11 იქ მყოფმა 2 ფინელ ეზდეკმა კრებას აუწყა სემის კანონ პროექტის

ცხოვრება თხოულობს ამ ჩვეულების უკუგდებას. ეს სულ ადვილი მოსახერხებელია, თუ სოფელი მოინდომებს. ადამონი რამდენიმე დღეს ვაძლებს მშიერი და ნუ თუ მეზობელს მეზობლის გულისათვის არ შეუძლია ორი საათის უქმელ-უსმელობა მოითმინოს? რასაკვირველია შეუძლია.

ნუ თუ არ მოიპოვება ჩვენში შეგნებული სოფელი, რომელმაც ბისცეს მაგალითი დანარჩენ სოფლებს ამ ჩვეულების უარყოფით?

ვაი რომ არ მოიპოვება!.. შეუგნებელობის ბრალია, რომ ამ ჩვეულების ფესვები ღრმად გაუდგამს სოფლის ცხოვრებაში.

სოფელი ყოველთვის ყოფილა ბუდე ყოველგვარ ცრურწმენობისა. დღეს ხომ ამ ომისა და რევოლუციის ხანაში ჭორიკანობაც ერთი ორად მატულობს. დმერთო ჩემო!... რას არ გაიგონებ, რას არ გეტყვიან დღეს სოფელში...

სოფლის ცხოვრების უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს ეგრეთ წოდებული მკითხაობა. მკითხავი ყოველთვის საჭიროები ადამიანი იყო სოფლისათვის. ეს საყვარული დღეს გაორკეცდა. სალდათად წასული შვილისა, ავათმყოფისა და სხვა ათასგვარ რამეების შესახებ სოფელი გარბის მკითხავთან, ეს უკანასკნელიც სარგებლობს ამ გარემოებით და ჯიბეს ისქელებს მკითხავი სოფლად ექიმობასაც ეწევა, და წითლად შეღებილ წყალს მამასისხლად ყიდის. და განა მარტო მკითხავი სარგებლობს სოფლის შეუგნებლობით?

რუსეთის ძლევა-მოსილმა რევოლუციამ სასიკვდილო ჭრილობა მისცა ძველ რეჟიმს. ამ რევოლუციამ სოფლის ცხოვრებაც შეარყია; სოფლის მართვა-გამგეობის ფინეთის დამოუკიდებლობა

სოფელი დღეს.

არა ერთი და ორი სამწუხარო მოვლენა ახასიათებს დღეს სოფლის ცხოვრებას. ბევრი თქმულა და დაწერილა ამ სამწუხარო მოვლენების შესახებ. მაგრამ დიდი უმრავლესობა ამ უკანასკნელებისა ჯერ კიდევ არსებობს სოფლის ცხოვრებაში.

დღევანდელმა უმთავრესთა ომმა და რუსეთის რევოლუციამ ხომ უფრო თვალსაჩინოდ ჰყო სოფლის ცხოვრების უარყოფითი მხარეები. დღეს, როცა ომმა ცხოვრება ზღაწრულად გაძვირა, ჩვენი სოფლის ზოგიერთ ხნეჩვეულებანი დაუძინებელ მტრად მოევლინა სოფლის ოჯახს. მაგალითისათვის ავიღოთ მიცვალებულის დასაფლავება.

სიცილი და ტირილი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. ვინ იტყვის, რომ ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილი დიდი უბედურება არ იყოს ოჯახისათვის; ვინ იტყვის, რომ მეზობელმა მეზობლის, მეგობარმა მეგობრის მწუხარება ან სიხარული არ გაიზიაროს, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლად ყველაფერი თავის რჯულზეა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონათლულ-დაკანონებული.

გრძნობა ერთი მეორის პატივისცემისა და თანაგრძნობისა ადამიანის ბუნებრივი თვისებაა. კვდება ადამიანი, აკლდება საყვარელი წევრი ოჯახს. ამისთანა შავ დღეს მიცვალებულის ნაცნობ-ნათესავები ვალდებულნი არიან მოვიდენ სიკვდილისაგან დასჯილი ოჯახში და გაამწუხარონ მისი ჩირისუფლები.

ადამიანი, რომელსაც უცხოურია, სოფლის ჭირ-ვარამი გაუზიარებია, ღირსია თანაგრძნობისა პატივისცემისა. ამგვარ პატივისცემად უნდა ჩაითვალოს ცრემლი და მიცვალებულის სამწუხაროდ მისვლა. ერთი შეხედვით პირველსაც და მეორესაც აქვს ადგილი სოფლის ცხოვრებაში. მაგრამ გულახდილად უნდა აღვიაროთ, რამდენადაც ამაში ხანგრძლივობა გაკვრვებამ დამარწმუნა, რომ დღეს სოფლად არც ცრემლია გულწრფელი და არც მიცვალებულის სამწუხარობის მიცილება.

დღეს მიცვალებულს პატივისცემის ნაცვლად შეურაცხყოფას აყენებენ. მე აქ არ გამოუდგები იმის აწერას, თუ რა საზიზღარ სცენებს აქვს ადგილი მიცვალებულის დასაფლავების დღეს სოფლად. მე მხოლოდ მსურს აღვნიშნო ის ეკონომიური და ზნეობრივი სასჯელი, რასაც ღებულობს სიკვდილისაგან დასჯილი ოჯახი.

დღესაც კვლავ-დღებურად აკრიბებიან ნაცნობ-ნათესავები სიკვდილისაგან დასჯილ ოჯახში: იმათება თაობირი გასვენების შესახებ, ადგენენ მოსაპატიჟებელთა სიას, გზავნიან წერილებს, მოუწოდებენ სამოგადოებას დანიშნულ დღისათვის სამი-ოთხი დღის განმავლობაში მიცვალებულის ოჯახში ისმის ხმაურობა-ყიჟინი. დარბიან მეზობლები სანათხოვროზე, მიაჩოლიდებენ ურემს ბაზრისაკენ და სხვა.

თენდება მიცვალებულის დასაფლავების დღე, დილიდანვე იკრიბებიან მეზობლები და იწყება კომედია, იწყება მიცვალებულისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფა იყო დრო, როცა ამ ჩვეულებას ეური-გდებოდა კაცი. შეიძლება ამის მიზეზი იყო პურ-ღვინის სიაოფე. ეხლა კი, როცა ზღაპრულად გაძვირდა ყველაფერი და განაყიდლიც არ იშოვება, ამ ჩვეულება-კომედიას სრულიად ვერ ურიგდება ცხოვრების დამკვირე ადამიანი. კიდეც-რომ მოინდომოს სოფელმა, დღეს პურით ვერ გაუმასპინძლდება, მოწვეულ მეზობლებს. რა ქნას ჩვეულებას ვერ დაპურ-ღვინით მიცვალებულის გასვენება ყოველთვის და, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, ოჯახის ნივთიერად განადგურებაა და ჭირისუფლების ზნეობრივად დასჯა.

აქამდისაც უნდა გამოსთხოვებოდა სოფელი ამ ჩვეულებას, და დღეს ხომ თვით ტანსაცმელიც ძვირად ღირს, ხომ ვაჭრობა ჩაკვდა, ხომ ფული ქაღალდის ფულია, ხომ ყველაფერი ამ ჩვეულებას ეწინააღმდეგება. ეს ხომ ნათელია, რომ ამ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს ხომ ნათელია, რომ ამ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს ხომ ნათელია, რომ ამ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს.

ეს ხომ ნათელია, რომ ამ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს ხომ ნათელია, რომ ამ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს ხომ ნათელია, რომ ამ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს 15 ივლისს. რეალური სასწავლებლის დარბაზში საღამოს 6 საათზე, გაიმართება კრება (ქალთა და ვაჟთა.) კრებაზე წაიკითხება რეფერატი მოსწავლეს—

შუბლაძის მიერ.

ამხანაგებო ვთხოვთ დაესწროთ.

მოწაფეთა პრეზიდიუმი.

ახალი ამბავი

◆ საღამო. კვირას, ივლისის 16 ქალაქის თეატრში გაიმართება ქართველ უცრაინელთა საღამო. ამავე დღეს ქართულ გიმნაზიაში გაიმართება საღამო ხსენებულ გიმნაზიის დარაჯთა სასარგებლოთ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული, ა. ჩხენკელი ცირკულიარით ატყობინებს ქუთ. აღმ. კომიტეტს, რომ ყველა გაუქმებული ხაპოლიციო დაწესებულება უნდა გადაეცეს აღმ. კომიტეტს.

◆ ბძანება. ქუთაისის გარნიზონის უფროსის კავკასიის ლაშქრის სარდლისაგან ბრძანება მოუვიდა. რომ სასტიკათ დაისჯება ყველა ის პირი, რომელიც ქალაქში უწესრიგობას მოახდენს, უსასტიკესის წესით იქნება დასჯილი. აგრეთვე დაისჯებიან ის პირები, რომლებიც ჯარს წააქეზებენ სხვადასხვა გამოსვლებში.

◆ კრება. ივლისის 20- ქუთაისში მოხდება ქუთაისის გუბერნიის ექიმთა პროფესიულ კავშირის არაჩვეულებრივი კრება.

◆ სასურსათო ხაქმე. ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მიიღო 2 ვაგონი პური ფქვილი. სასურსათო კომიტეტის დუქნები დაიკეტა, ამიტომ მცხოვრებნი დროებით შაჭარს მიიღებენ ქუთ. კოოპერატივებში.

◆ მიტყვლებულის აღმოჩენა. გუშინწინ სადგურის ახლოს საპირთა ყაზარმებთან ოპოვეს ერთი დედაკაცის გვამი, რომელსაც ნაცემი ეტყობა.

◆ ჯარის კაცთა უქორწინო ოდესა შესახებ. სამხედრო საბეერო მთავარი შტაბის ბრძანებით ნებადართულია ჯარის კაცთა უქორწინო ოდესა შესახებ. ამ ბრძანების ძალით ჯარის კაცებს ეძლევათ ნება ქორწინდებოდნენ ოდესაში, ოდესის ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით.

◆ ბრძანება. ქუთაისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით ნებადართულია ჯარის კაცთა ქორწინება ქუთაისში, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით.

◆ ბრძანება. ქუთაისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით ნებადართულია ჯარის კაცთა ქორწინება ქუთაისში, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით.

◆ ბრძანება. ქუთაისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით ნებადართულია ჯარის კაცთა ქორწინება ქუთაისში, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით.

◆ ბრძანება. ქუთაისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით ნებადართულია ჯარის კაცთა ქორწინება ქუთაისში, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით.

ლობა იტყობინება, რომ ის ქალები, რომლებიც ჯარის კაცებთან სცხოვრობდნენ ჯარის დაუწერელით და შვილები ჰყოლათ, ეგეთივე უფლებით სარგებლობენ, როგორც კანონიერი დაქორწინებულნი ქალები. ე. ი. დახმარებას (ცერპის ფულს) ხოლო თუ ჯარს უწერიელ ქალებს შვილები არ ხმა ესმისთ, ამ შემთხვევაში ისინი დახმარების ღებულობენ მხოლოდ მაშინ, თუ კი მათ უქორწინო კმარტან (მისი ლაშქარში ყოფნის) ერთი წელი უცხოეთი და შესაფერ მოწმობას წარმოადგენს.

◂ შეგითხე. გუბერნიის კომისარი ბ-ნი ვ. გობერია ქუთ. აღმ. კომიტეტს ეცნობება, რომ არაფერი აქვს მას საწინააღმდეგო, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საქმის მწარმოებლათ დაინიშნოს ვარ. ბახტაძე.

◂ ზებედური შემთხვევა. სადმ. ტყიბულის მახლობლათ რკინის გზის მატარებელმა გასრისა რაჭის მაზრის მცხოვრები რაფ. ამაშუკაშვილი.

— სჭირხლის ზარა. სოფ. ნაჯიხევის (სამედრესო) მცხოვრებნი ქუთ. აღმ. კომიტეტს სთხოვენ დახმარებას საქონლის ჭირის საწინააღმდეგოთ, რომელსაც დიდი ზარალი მიუყენებია სოფლისთვის.

◂ 7,0200 მან. გადადება. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი აუწყებს ქუთ. აღმ. კომიტეტს, რომ ქუთაისის გუბერნიის სამხედრო სამედრო საქმეთა ხარჯებისთვის გადადებულია 7.0200 მან.

თბილისი.

— სასურსათო ვრაფობა. ივლისის 12-ს თბილისში დაიწყო სასურსათო ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა 33 კაცი, რომლებიც წარმომადგენელნი საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებისა და სხვა დაწესებულებათა. კრება გახსნა 12 საათზე სასურსათო სამინისტროს კავკასიის რწმუნებულმა ლ. ლ. ბიჩმა და ეროცელი მოხსენება წაიკითხა სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ საერთოდ რუსეთში და კერძოდ კავკასიაში. ბრჭიულ იქმნა ყრილობის პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ ლ. ლ. ბიჩი, თავმჯდომარის ამხანაგებად ნ. ზ. ელიავა, ა. უ. დედაროვი და ფალეევი და მდივნად ფედოროვი. ოგრეთვე არჩეულ იქმნა 5 კომისია—საფინანსო, სასურსათო, სამხედრო-სასურსათო, საორგანიზაციო და სამანდატო. კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას. ივლისის 13 კრებამ მოისმინა რამდენიმე მოხსენება, მოხსენებებში ყველაზე საყურადღებოა საკითხი მცხოვრებთათვის სანოვაგისა და სხვა მიუკილებლად საჭირო საქონლის მიწოდების შესახებ. კრების რეზოლუციებს თავისს დროზე დავებეჭდავთ.

— ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოებამ ენერგიულად მოჰკიდა მუშაობას ხელი. საზოგადოებას შეუმუშავებია პროექტი დამწვარ ქართულ თეატრის გადაკეთების საბურთალოს იმ მამულების მოპრწყვისა, რომელნიც ქართველ საზოგადოებას პოლიტიხოკუმისთვის უნდა დაეთმო, ელექტროსნით ოზურგეთის გაზეთებისა, კარდანახში სარწყვნე არხის გაყვანისა და სხ. საზოგადოების ბიუროში მრავალი განცხადება შედის კერძო პირთაგან რომ მიმდინარეები დაგიომობთ წისქვილების მოსაწყობად, ელექტრონის ძალის გამოსაყენებლად და სხ. ბიუროო ყველა განცხადების გულის ყურით ეკითხა.

— ბოდბეკელების კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მათ მარტო თებერლში 2075 წევრი ჰყოლიათ.

უცნაურელობა დედაგანა. თბილისში უკრაინელთა დელეგაცია ჩამოვიდა,

—ბოროტმოქმედების ხდმოჩენა. თბილისის მე 4 უბნის სასურსათო კომიტეტმა აღმოაჩინა მთელი ბრბო, რომელიც ყალბი ქაღალდებით შაჭარს დებულობდა თურმე საქალაქო სასურსათო დეპუნებიდან.

ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ქალ. ზესტაფონი.

ქალაქად დამტკიცება. დაბა ზესტაფონი უკვე ქალაქად დამტკიცდა ამ ახლო მოპავალში მოხდება საქალაქო არჩევნები.

—შაშხლობა. მცხოვრებნი დიდი გაჭირვების განიცდიან პურის ნაკლებობის გამო. ამ ბოლო დროს პური სრულიად არ იშოვება.

ნაკლებობაა ოგრეთვე ხორცისაცა რესტორანებში და სამიკიტნოებში ხორცეულს იშვიათად ამზადებენ.

—რესტორანებში თითო წაშილი 3-4 მანათამდის ფასობს.

დექმბ. კვირას, ივლისის 16 ქართველ-უკრაინელთა კავშირის კომიტეტის წევრი ს. ილარიონ ღუნები წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „რევოლუციის მიმდინარეობა და ჩვენული ერთა კითხვა. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. მოწვეული არიან ყველა პოლიტიკურ პარტიებს ქართულ წარმომადგენელები.

—ბეშეტაჯ. ივლისის, 11-სა და 12-ს ადგილობრივ საზოგადო საკრებულოში წარმომადგინეს ოპერეტა „არშინ და მალანი.„ დარბაზი ორივეჯერ ხალხით იყო გაჭედილი.

—სოფ. სხანი. (შორ. მაზრა). კვირას, ივლისის 16. სოფელ სხანოში გაიმართება დიდი მიტინგი. მიტინგზე მიწვეულნი არიან ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები.

— სოფ. სჯარა. (შორაპ. მაზრა) შაბათს, ივლისის 8 სოფ. სჯარაში საქველმოქმედო მიზნით გაიმართა საღამო წარმომადგინეს კომ. „ადვოკატი მელაძე„ ხალხი ნაკლებად დაესწრო. საღამოს გამართველებს თითქმის ვაღი დაედოთ.

ქრონ. დეშთერ. პარტია.

— სოფ. ზორავეთი. შორაპნის მაზრა. კვირას, ივლისის 9-ს სოფელ ზორავეთში გაიმართა დიდი მიტინგი. ილაპარაკეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა სეფერიან პირაქაძემ და კ. ლომთათიძემ. მოლაპარაკეებმა დამსწრეთ გააცნეს ერ- დემ. პარტიის პროგრამა საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ორატორებს და უმრავლესობამ თანაგრძნობა გამოუცხადა მათ. ილაპარაკეს ოგრეთვე ფედერალისტების წარმომადგენლებმაც. საქარ. ერ. დემოკრატიულ პარტიაულ თანამოაზრეთა შორის გამოითქვა სურვილი ორგანიზაციის დაარსებისა, რომელიც შემდეგ კრებისათვის იქნა გადადებული.

სოფ. თეზეთი. შორაპ. მაზ. კვირას, ივლისის 16-ს ხოხდება ადგილობრივ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრთა კრება. კრებას დაესწრებიან ერ. დემ. პარტიის წარმომადგენლები.

— ქალ-ყაზთა გამნაზია. მომავალი სასწავლო წლიდან გაიხსნება ქალ-ეკატ. გიმნაზია. მომავალი გიმნაზიის საჭიროებისათვის უკვე შეკრებილი არის 30,000 მანათი. 30000 მანათზე მეტს მოელიან შორაპნისა და ზესტაფონის რკინის გზის მოსამსახურეებისაგან, მთასვე გადაწყვეტილების თანახმად. გიმნაზიის გახსნის ფონდისთვის კიდევ არის საჭირო 40000 მანათი, რომლისთვისაც გიმნაზიის საქმეთა მოწყობის საბჭო ყოველგვარს ღონის ძიებას ხმაროობს, ახდენს სხვადასხვა საზოგადოებში კრებების ფულების მოსაკრებად ამ მოკლე ხანში გიმნაზიის საბჭო ოფიციალურად გამოაცხადებს მომავალ გიმნაზიაში შემსვლელ მასწავლებელთა თხოვნების მიღებას.

— მუშაობა სხვშის დამტყრეც. ოთხშაბათს, ივნისის 13 ფრონტზე მიმავალმა კაცებმა ქ. ზესტაფონის მუშათა საბჭოს დარბაზის ფანჯრები დაამტვრიეს. ზომების მიღებამდის ჯარის კაცები მიიმალენ.

— დ. ირტანი. (სამაზრეთიანო საქართველო) ივლისის 16 ქართველ საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით განწზრახულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმესაფარ სკოლის გახსნა ომისაგან დაზარალებულ მამაძიდან და ქრისტიან ქართველ ბავშვათვის.

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ.

(საქართველოს უფლებათა ინტერნაციონალის მიხედვით)

ხუთშაბათს, 13 ივლისს, ვარ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა მეორე ლექცია: „საქართველოს უფლებანი ინტერნაციონალის მიხედვით“. ლექციას დიდი საზოგადოება დაესწრო.

ქალაქის თეატრში ტევა არ იყო. ლექცია მართლაც მეტად შინაარსიანი და არსებულ მომენტის შესაფერი გამოდგა. რევოლუციის ვეტერანსა და ნამდვილ მამულიშვილს საზოგადოება გაფაციცებით უგდებდა ყურს.

ფარდის ახლისთანავე საზოგადოება მხურვალე ტაშით მიეგება ახალგაზდრის სულით გამსჭვალულო მოხუცს. მან დაიწყო თვისი მოხსენების კითხვად აღნიშნა, რომ 12 ივლისის ლექციაში (იხ. „ჩვენი ქვეყ.“ № 78) ის შეეცადა დაესახა ისტორიული განვითარება ბრძოლისა ადამიანის უფლებისათვის.

აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ პოლიტიკური თანასწორობა ცალმხრივი იქნება, სანამ ეკონომიური თანასწორობა არ დამყარდება. ასეთი თანასწორობის იდეას ფართო ასპარეზი საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მოუპოვა. ლექტორი სცდილობდა დაემტკიცებია, რომ არც პოლიტიკური, არც ეკონომიური, არც მოქალაქობრივი თანასწორობისა არც კლასთა ბრძოლის იდეები გერმანეთში არ აღმოცენებულა. თავისუფალ იდეების, სოციალისტურ მოძღვრების აკვანი საფრანგეთია და გერმანეთი. იმის შეგნება, რომ რეფორმები თვით სახელმწიფომ და არა კერძო ინიციატივამ უნდა დაეწესოს, ოუენიზმი და ფრანგეულმა სკოლამ დაამკვიდრა

აქვე უნდა ვეძიოთ დასაბამი სოციალ-დემოკრატებისა.

გერმანელ სოც.-დემოკრატებს პარლამენტარის წესით (უმრავლესობის მოპოვებით) სურთ სოციალური რეფორმების მოხდენა.

საზოგადოების კლასებად დაყოფის აზრი პირველად ივლისის დღეებში დაიბადა პარიკადებზე ბრძოლის დროს და არა გერმანეთში, სადაც იმ დროს ერთი სოციალისტიც კი არ იყო და რესპუბლიკური მოძრაობის ნასახიც კი არ მოიპოვებოდა. ლექტორი ფაქტებით ამტკიცებს რომ ინტერნაციონალი მარქსისა და გერმანელების მოგონილი კი არ არის, არამედ ფრანგებისა და ინგლისელებისა.

ვინც ინტერნაციონალის სტატუტებს აღაარებს, ის ინტერნაციონალის წევრია. ინტერნაციონალის სტატუტები გარკვეთა და ნათლად არის ნათქვამი, რომ ყველ ერს თავისუფალ არსებობის სრული უფლება ეძლევა. სტატუტი არა სცნობს განსხვავებას პატარა და დიდ ერთა შორის. 1871 წლიდან ინტერნაციონალი ფაქტიურად აღარ არსებობს, იგი მოკვდა. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს გერმანელი სოციალისტები მთავრობას ამო უდგენ გვერდში და უარყვეს საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც ინტერნაციონალის გადაწყვეტილება მოითხოვდა. სინდიკალისტები უარყოფენ პარლამენტარების გზით რეფორმების მოხდენას. ისინი ამ რეფორმებს „პირდაპირის მოქმედებით“ (laction directe) ახორციელებენ.

1896 წლის ლონდონის კონგრესზე ხელახლა გადაწყდა, რომ მობილიზაციის შესაფერხებლად საყოველთაო გაფიცვა გამოცხადებულიყო. მაგრამ გერმანელებმა ამ დადგენილებასაც უღალატეს.

ინტერნაციონალის მოკლე ისტორიულ განხილვის შემდეგ პატივცემული ლექტორი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალისტებმა მხოლოდ ოხერითა და პრაკლამაციებით მოსურვეს ომის მოსპობა და არა აქტიური გაფიცვებით. შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება ეროვნულ კითხვას და ამბობს, რომ ინტერნაციონალი იბრძვის ერთა უფლებრივ გათანაბრებისთვის და უარყოფს ერთ ერის მეორეზე ბატონობას.

ჩეშმარიტი ინტერნაციონალი მხოლოდ მაშინ აღსდგება, როდესაც ერთა უფლებები და ხელშეკრულებანი აღარ დაირღვევა. ყოველი პროგრესიული ადამიანი ვალდებულია უზრუნველჰყოს თითოეულ ერის უფლებები თავისუფალ არსებობისათვის. ამ თავისუფლების შენარჩუნებისათვის ინგლისმა 5 მილიონი მოხალისე შეაკვეშინა. ყოველ ერსა აქვს უფლება მოსთხოვოს დიდ სახელმწიფოებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა პატივისცემა და შეულახველობა.

ჩვენ კი, ქართველებს, ყველაზე მეტი უფლება გვაქვს ამისა. რატომ მიიღეს ქართველებმა მონაწილეობა რუსეთის ომებში? იმიტომ, რომ საქართველო მოკავშირე არის რუსეთისა და არა მისი პროვინცია. ქართველები მოკავშირენი არიან რუსებისა, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რუსებმა, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროპაშიც ისე გვიყურებენ ქართველებს, როგორც რუსეთის მოკავშირეთ და არა მის ქვეშევრდომებს. ჩვენ თანასწორნი ვართ ყველა ერისა და ინტერნაციონალშიც როგორც ერი შევალთ. შემდეგია ის, ვინც იტყვის, ჩვენ რუსეთის სოციალ-დემოკრატები, ან რუსეთის ანარქისტები ვართო. რუსეთის სოციალ-დემოკრატები თუ ანარქისტი ინტერნაციონალი კი არა სცნობს იმპერიას. რუსეთის სოციალდემოკრატია არ ნიშნავს ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიას. სოციალ-დემოკრატია ინტერ სახელმწიფოებრივი კი არ არის, არამედ იგი სწორედ ინტერნაციონალური. საერთაშორისო. საერთაშორისო კონგრესებზე ჩვენ ქართველებს, როგორც არსებულ ერს, სრული უფლება გვაქვს საკუთარი, ქართული წარმომადგენლები ვიყოლოთ.

ამ სიტყვებმა დაურწმუნებელი, მქუხარე ტაშის ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია.

შემდგომ ამისა მცხოვან ლექტორს მოჰყავს საერთაშორისო ისტორიიდან ისეთი ფაქტები რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატის შესახებ რომელთა გამოქვეყნება დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. მთელი თეატრი სმენად იქცა პირველი ფაქტი შემდეგი იყო. საქართველომ ერთხელ უკვე სინჯა თვისი უფლებების ტრაქტატის 1783 წ. წარდგენა ჰაგის კონგრესზე რადგან პირდაპირ გაგზავნა წარმომადგენელის ფორმალურის მიზეზებით შეუძლებელი შეიქმნა, ყველა ნვერს კონგრესისას გაეგზავნა პაკეთში მოსსენება საქართველოს უფლებების შესახებ.

ყოველ კონგრესზე, როცა ის შეიკა საკონგრესო დარბაზში მიგიდაზე დაიხვდა სახელდობრივი პაკეთი. რომელშიაც მოთავსებული იყო ქართველების პეტიცია და რომელსაც ხელს აწერდა არა ასი და ორასი ქართველი არამედ ხელის მომწერთა რიცხვი ათასობით ითვლებოდა და მათ შემადგენლობაში შედიოდა ყოველი წოდების ქართველი თავდაი აზნაური, ვაჭარი, სამღვდელოება და გვრდი გლეხების წარმომადგენელიც. ეს პეტიციაც გაწნილულ არ იქნა რადგან კონგრესის განსახილველი საგნები რამოდენიმე თვით ადრე იყო შემუშავებული.*) ყოველ შემთხვევაში ეს პეტიცია წაკითხულ იქნა ყველა კონგრესანტის მიერ. ამ ჟამად იგი ინგლისში არის შენახული. რუსეთის წარმომადგენელი ნელიდაგი გამზადებული იყო კონგრესის გახსნისას მგრძნობიარე სიტყვის წარმოსათქმელად და ნიკოლოზ მეორის ქებათა ქების შესასხმელად, მაგრამ პეტიციის წაკითხვამ ისეთი მოელენა მოახდინა ყველაზე, მასთან ნელიდაგზეც, რომ უკანასკნელს ენა დაება და იმას გარდა რომ კონგრესს მიესალმა, ველარასფერი სთქვა, ეს პეტიცია შემდეგი სამ-

*) პატივსემეულ ლექტორს დავიწყდა, რომ კონგრესს ადვილად შესაძლებელია მიეღო ქართველი წარმომადგენელი და განეხილა საქართველოს უფლებანი 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით მაგრამ ჩვენსა საუბედუროთ, კონგრესს იმავე ჟამს მი მართა კორეიამ რომლის მიღებას წინააღდეგი იყო შეტანილი განიხილეს საქმეთა სიაში იაპონის ელჩის მიერ. ამ გვარად მხოლოდ შემთხვევამ წაართვა საქართველოს საშველად ევროპის სამსჯავროს წინაშე თავის უფლებები განსახილველად.

დამწერე.

მსოფლიო ომი

ჰ. დ. ს.

დ ე ვ ე ნ ე ბ ი.

ადმისკულეთის ხმაბრეშა.

პეტროგრადი. ივლისის 12. ვიღრის მიმართულებით კრეფის ჩრდ. ჩვენმა ჯარმა მიიწიწყს აღმ. პოზიციები დაიპყრო, მაგრამ მოწინააღმდეგის ზარბაზნების ძლიერი ცეცხლის გამო, მაგრამ კონგრესის განსახილველად იქნა გადადებული. ჰემაიდანშეული მიზეზის გამო, მაგრამ კონგრესი მას ვერმე შემდგომ.

საქართველოს სრული უფლება ჰქონდა და ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს საკითხი ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში ახალ ხანას გამოიკვლევდა.

რი სროლის გამო თავის პოზიციებს დაუბრუნდა. ტარნოპოლის მცველმა პირველმა საგანგებო კორპუსმა, ბეტონიგის ბრიგადის გარდა, მტრის ძალდატანებულად თავის ნებით მიატოვა პოზიციები და აღმოსავლეთით დაიხია. თავის მოვალეობის ერთგული ბეტონიგის ბრიგადა, სრმითნოველთა და პრეობრაჟენელთა პოლკები ტარნოპოლის აღმოსავლეთით ბრძოლას აწარმოებენ. მდ. სერეტი მოწინააღმდეგემ ძლევამოსილ ჩარტორია—მოკულეს ნაწილში გადმოლახა და ჩვენი ჯარი სამოკუცე—მდ. გნეზნა ტრემბოვას ხაზზე გადმოდევნა. მიშოვაცეს აღმოს. მტერს შედგარი წინააღმდეგობა გაუწია სმოლენსკისა და კოლიგანის პოლკებმა და კონტრ იერიშებიც მიჰქონდა. მდ. სერეტსა და (?) შუა რომანოვკის ჩრდ. დასავ. მომქმედმა მე-10, მე-160 და მე-74 ქვეით ჯარის დივიზიებმა პოზიციები მიატოვეს. ივლისის 11 ჩვენი ჯარი ტრემბოვილია—რომანოვკა—პეტლიკოვცეს ხაზზე შედგა. სტრიპას დასავლეთით ილაში იზიარუს მიდამოებში გერმანელებმა ჩვენი ბრძოლის პირი გაარღვიეს. ჩვენმა ჯარამა პრუვეოსკომ—ვეჩერანი—პარიშის ბრძოლის პირზე უკან დაიხია. აღსანიშნავია მე-194 დივიზიის ველოსიპედისტთა მე-3 და მე-5 ბატალიონების მამაცური მოქმედება. ველოსიპედისტები ვეკაკუირად ებრძოდნენ მოწინააღმდეგის დიდ ძალებს. ტყვე გერმანელ აფიცერის ჩვენებით გერმანელთა მე-115 პოლკი თითქმის ერთიანად მოუსპია ველოსიპედისტთა მე-5 ბატალიონს. მდ. დნესტრის სამხრ. კარპატებამდის ჩვენი ჯარი უკან დახევას განაგრძობდა. მდ. ბისტრიცაზე სოლოტვინკოს—ლისენ—სტანისლავოვის ბრძოლის პირზე ჩვენი ჯარი მოწოლილ მტერს ებრძოდა. ქვეითა ჯარს აქ დიდ დახმარებას უწევდა ულანთა პოლკი, რომელიც გერმანელთა ქვეითა ჯარს ექვსჯერ შეუტია ცხენ და ცხენ.

სტანისლავოვის ქუჩებზე ხიშტებით მედგარი ბრძოლა სწარმოებს. უკან დახეულს ჩვენს ჯარს მცხოვრებნი აივნებიდან და ფანჯრებიდან ხელის ყუმბარებს უშენდნენ.

რუმანეთის ასპარეზი.

ბისტროპატაკთან ჩვენმა მზვერავებმა მტრის სანგრები აიღეს, 50 კაცი დაატყვევეს, 2 ტყვიის მფრქვეველი ხელთ იგდეს და უკან დაბრუნდნენ. ოისას მიდამოებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კაპურლატი—რეიდე—რუსის ხაზზე რუმინელებმა მტერს შეუტიეს და წინ მიიწევენ. მდ. ჰუტნას ჩრდილოეთით ჩვენებმა მტრის სიმაგრები აიღეს და გეტროლე—ბოლოშკას ხაზზე წინ გაიწიეს.

ჯეკკასიის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. ივლისის 11. დღის განმავლობაში იპრის დასავლეთით და ჩრდ.-დას. 4 ალაგს მტერს მარჯვედ დაეცხით თავს და ტყვეებიც წამოიყვანეთ. ლავანტის დასავლეთით ღამე გერმანელები სანგრებში შემოგვეპარნენ, მაგრამ ყუმბარების სროლით განვდევნეთ. ფოვანშისა და ლაბასეს დასავლეთით მტრის ერთი რაზმი ერთ ჩვენს ხვრელში შემოიპარა და რამდენიმე კაცი მოგვიკლა.

გუშინ ჩვენი მფრინავები ხარბაზნების სროლას კარგად უწევდნენ ხელმძღვანელობას, 4 ტონაზე მეტი ასაფეთქებელი მასალა ჩამოჰყარეს მტტისჰაეროდრომებში, საწყობებში და რკინის გზებზე. ამის გარდა მათ ჩამოაგდეს მტრის 3 საფრენი. ხოლო 3 აიძულეს დაბლა დაშვებულიყო. ჩვენ არც ერთი საფრენი არ დაგვკარგვია.

ლონდონი. ივლისის 12. ვრემელის აღმ., როლლობეკის დასავ. და გბლადა—გავრაკურის პოზიციებს მარჯვედ თავს დავესხით და ტყვეები წამოვიყვანეთ.

პარიზი. ივლისის 11 ბრეკ—ლონუას დასავ. წუხელ დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო. მტერმა ორჯერ წამოიწია, მაგრამ უკუ ვაქციეთ. სანომის ჩრდილ. მტრის ჯარმა შემოგვტია, მაგრამ დიდათ დახარაიებული იგი უკუ ვაგდეთ და ტყვეებიც წავართვით. კრასნის სექტორში, განსაკუთრებით კლიფორნიის ვაკე გორაკზე საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა. ღამე ნანსში და მის სამხრეთით გერმანელთა საფრენებმა ყუმბარები ჩამოყარეს. მსხვერპლი არა ყოფილა.

გერმანულება მოქმედების განაგრძობენ.

კამენეც. ივლისის 11. ჩვენმა მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ გერმანელები გამგეობაში ჯარებისათვის და საზოგადო საკრებულოში მოქალაქეთათვის. ორგანვე დილას ადრე გრძელი კუდები სდგას. მშიდობიანი მსჯელობა-კამათი ისმის. მქალაქენი მკლავებზე წითელი ნიშნებით წესრიგს იცავენ საზოგადო საკრებულოსთან, ჯარის კაცები კალაქის გამგეობასთან. დილის 8 საათიდან გამოვიდა ჯარის ნაწილები მუსიკით. წითელი დროშებით და სხვა ყოველს დროშას აწერია: „ბრძოლაში პოყა შენს უფლებას“, „მიწა და თავისუფლება“, „ომი თავისუფლებისათვის“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. საზოგადოების ყურადღებას იპყრობს ჯარის ერთი ნაწილი შავს ტანისამოსში, გამოწყობილი ნახევრად შავი და ნახევრად წითელი დროშით. ხალხში გაისმის ხმები! „ანარქისტებია“, „ბოლშევიკებია“. აქაიქ გაისმის მარსელიოზის მცველობი ხმა. ატრიმობილები, მოტოციკლები ეტლები ველოსიპედები, ცხენები მიმორბიან და მოწოდებებს ავრცელებენ. არჩევნები დაიწყება და გაგრძელდა დილის 9 სრ. ღამის 9 სრ. დაიწყო ხმის მიცემა და ყოველი მოქალაქე თავის სურვილს დაბეჭდილი კონვერტის დახურულ ყუთში ჩაშვებით გამოხატავს. საღამოს 9 საათზე შეწყდა ხმის მიცემა და ყუთები შეიარაღებულ ჯარის კაცთა თანხლებით სახ. საკრებულოდან მშვიდობიანათ დაწყებული არჩევნები მშვიდობიანათვე დამთავრდა.

ორშაბათს ივლისის 11 საარჩევნო კომისია შეუდგა ხმების დათვლას. საღამოს უკვე გამოირკვა ხმების რაოდენობა. ხმები მიეცათ ჯარისკაცებს 13, 459, მოქალაქეთ 11, 132, სულ 24, 591. ხმების გარჩევის შემდეგ გამოირკვა, რომ ქალაქის ხმოსანთა სიაში უმეტესობა სოც.-რევოლუციონერებია (26 ხმოსანი) და სოც.-დემოკრატებს (24 ხმ.) ხვდათ წილად. დანარჩენთ ერათ: დაშნაკუტიუნებს 4, კადეტებს 2, ეროვნულ დემოკრატებს, ს.-ფედერალისტებს' ებრაელთა და მუსულმანთა ჯგუფებს თითო ხმოსანი, სახლის მეპატრონეთა და ბერძენთა ჯგუფებს კი არც ერთი.

ეროვნების მხრივ სიაში შემდგენლობა ამნაირია: 22 ქართველი (ამათში 3 მაჰმადიანი), 19 რუსი, 10 სომეხი, 8 ებრაელი და ერთი ბერძენი. სიაში წინანდელ შემდგენლობასთან შედარებით ეხლანდელში ქართველი ნაკლები შედის. სიაში თითქმის სავსებით სოციალისტურია (60 ხმოსანში 5 კაცი თუ იქნება არა სოციალისტი). ჩვენი სოციალისტები ოცნებიდან დღეს პირდაპირ საქმეზე გადადიან. მათ ხელში იქნება დღეიდან ქალაქის ბედ-იღბალი.

ლას. დონ.

რუსეთი.

ტემპერატურის ფაზრეკების დეკრეტი.

დრ. მმართველობის განკარგულებით ივლისის 1-დან დაიკეტა მოსკოვში არსებული თეატრალის ფაზრეკები, მიზეზი ყოფილა მუშებთან მოურიგებლობა დასაბამ მასალის მოსპობა.

ტელეგრაფი გაფიცულია.

გაზ. „დენი“ მოგვითხრობს, რომ იაროსლავის „გოლოსის“ ივნისის 14 ნომერი აჭრელებული ცენზურისგან.

ანარქისტები.

პეტროგრადში ჯარმა ალყა შემოარტყა ერთ დიდ შენობას, სადაც ანარქისტები იყვენ მოგროვილი. ანარქისტები ჯარს წინააღმდეგობის გაუწევლად დნებდნენ. გაჩხრეკის დროს სახლში იპოვეს ხელით სასროლი ყუმბარები და ჯოკრეთის მაშხალები.

ეროშენტადი.

კრონშტადტის რესპუბლიკის მეთაური „ბოლშევიკი“ რაშიაი დაბუსაღეს. ქ. კრონშტადტი დრ. მმართველობას დაუმორჩილა.

„მშრომელ ინტელიგენციის წარმომადგენელთა საბჭო“

პეტროგრადის ინტელიგენტია და ტეხნიკოსთა ერთ ჯგუფს განუზრახავს დაარსოს გონებრივ მუშაკთა საზოგადოება. საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც ქიმიკოსთა, ინჟენერთა კავშირების და ვაპრობა-მრეწველობის სამინისტროს მოხელეთა წარმომადგენლები შევიდნენ, მოუწოდებს პროვინციელ ამხანაგებს თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ.

ჯარის განსახორციელება.

პეტროგრადში დაიწყო შემამზე ლაშქრის განსამართლება. ჯარის იმ პოლკებს, რომელთაც აჯანყებაში, მიიღეს მონაწილეობა, შლიან და დროშას ართმევენ. ქ. ორანენბაუმის გარნიზონი ბოლშევიკებს არუსაღებს.

ქმიმა გარდენინი.

მოსკოვში უგზო-უკვლოდ და მოულოდნელად სადღაც გაჰქრა ბოლშევიკების დიდი თანამშრომელი და აქტიური მეთაური ექიმი გარდენი.

იაფასის 4-ს მსხვერპლნი.

ჯერჯერობითი გამოანგარიშებით 500 კაცია ივლისის 4-ს მოკლული. დაჭრილთა რაოდენობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

ჯარის დამარცხების გამო.

გალიციაში რუსის ლაშქარს უწევსრიგოთ უკან დახევამ მოსკოვში მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბოლშევიკების ყველა ყვირილით: „ხომ გითხარით ბურჟუები ქვეყანას ღუპავენო!“

გენერალ კორნილოვის ბრძანება.

სარდალმა კორნილოვმა ბრძანება გასცა ბრძოლის ველზე არტილერია დაუშინონ იმ ლაშქარს, რომელიც უფროსთა განკარგულებას არ შეასრულებს. თავის ნებით მტერს დანებებული ჯარი რიცხეი მეტად დიდი ყოფილა. ამ დღეებში. დაწერილებით რაოდენობას გამოაქვეყნებენ.

დია წერილი.

ბ-ნ ს. ავალიანს.

(სასურსათო გასწორფილების მოდარეს.)

თქვენმა რიხიანმა პასუხმა და ჩემი წერილის ყალბათ და სიცრუით აღიარებამ, რომელიც იყო მოთავსებული ჩვენს № 60-ში, თქვენს ნებაზე, იძულებული გამხადა, გამოგეცხადებინა სამედატორო სასამართლოში თქვენი წერილის (ჩვ. № 57) ბოლოში მოთავსებული ცნობის ნამდვილობის შესახებ. ამ ცნობის ნამდვილობა დამტკიცდა სამედატორო სასამართლოში. ამიტომ ვიძულებული ვარ ამ ცნობის ნამდვილობა ისევ ერთხელ დავადასტურო და ამასთანავე ვაცნობო, რომ ტერორში 4 გრ. ბულკი და არ მოგაკლიათ 2 გრ. მეტ. ამაზედ გულ-მოსულმა საკანდატერორიდან გასვლის დროს თქვენ მობრძანდით ჩვენთან და მიირთვით ფქვილი და შაქარიო.

ამ თქვენს განცხადებასთან იყო დაკავშირებული ის, რომ თქვენ ჩემგან არ მიიღეთ თავის დროზედ ფქვილის ფული და ამით ხელი შეგვიშალეთ. თქვენ არ შეგეძლოთ ფქვილის და შაქრის დაკავება მაგრამ რაც თქვენს ხელთ იყო, ის შესძელით და ამით ცოტა გული მოიფხანეთ. მედიატორის ვინაობას შეგატყობინებთ ცალკე, როცა თქვენგან თანხმობას მივიღებთ.

მ. რუსიეიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

ბ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფებისთვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ,ვენერიულ დ. შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ჰუმკინის და ბალახვნის ქ. კუთხეში სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ს. თერჯოლაში გაიხსნა
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური
კლუბი.
წევრთა ჩაწერა შეიძლება ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 8 ს.
თერჯოლის კომიტეტი.

ეროვნულ-დემოკრატიულ
პარტიაში ჩაწერა
გაზ. „ჩვენი ქვეყანის“ კანტორაში
თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

თბილისში ძიძიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების
გაზეთზე
1917 „საქართველო“ 1917
გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მოწერის ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. კანტორა დია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფონი 15—73.
რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“

ჩვენი ქვეყანის რედაქციას
ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ
გადმოსცა 200 მან. საუკეთესო პრემიათ თხზულებისათვის გადმოსცა 200 მან.
(განკურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.
ერთი უნდა იყოს არანაკლები 1-ს და არა უმეტეს 3 ფელეტონისა კ. ი. 400—1200 სტრიქონისა.
ჟიურის შემადგენლობა თვის დროზე გამოქვეყნდება.

მამული შეიძინო!
დღევანდელი მოძრავი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შეშიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

ტამბან „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელიის სახლი, ქუთაისში.